ხელშეკრულება მომსახურების გაწევაზე №9.

(ანაზღაურებადი მომსახურების გაწევა)

_ ქ.თბილისი__ 23.03.2015წ.

ერთის მხრივ სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყემლოვანის საჯარო სკოლა, რომელსაც წარმოადგენს დირექტორი რუსუდან ბიწაძე
შემდგომში „დამკვეთად" წოდებულმა, მეორეს მხრივ და შპს "ინოვაციური განათლების ცენტრი კალამი" ,რომელსაც წარმოადგენს დირექტორი: თეიმურაზ გოგუაძე
შემდგომში „შემსრულებლად" წოდებულმა, დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ანაზღაურებადი მომსახურების გაწევის ხელშეკრულებით შემსრულებელი ვალდებულია შემკვეთის დავალებით გასწიოს ამ ხელშეკრულების პ.1.2-ში მითითებული მომსახურება, ხოლო შემკვეთი ვალდებულია აანაზღაუროს ეს მომსახურება.

1.2. შემსრულებელი ვალდებულია გასწიოს შემდეგი მომსახურება: _____
ელექტრონულად მიაწოდოს „დამკვეთს " შემაჯამებელი ტესტური დავალებები.
(ჩამოთვალეთ მომსახურების სახეობები)
შემდგომში „მომსახურებად" წოდებული.

1.3. მომსახურება მიიჩნევა შესრულებულად დამკვეთის ან მისი რწმუნებული წარმომადგენლის მიერ მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის შემდეგ.

1.4 მოქმედება 5დეკემბრამდე

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. შემსრულებელი ვალდებულია:

2.1.1. შეასრულოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

2.1.2. შეასრულოს მომსახურება სრული მოცულობით ამ ხელშეკრულების პ.1.4-ით გათვალისწინებულ ვადაში.

2.1.3. დამკვეთის მოთხოვნით უსასყიდლოდ _5 (ხუთი)_ დღის ვადაში გამოასწოროს ყველა აღმოჩენილი ნაკლი, თუ მომსახურების გაწევის პროცესში შემსრულებელმა დაუშვა ხელშეკრულების პირობებიდან გადახვევა, რამაც გამოიწვია სამუშაოს ხარისხის დაქვეითება.

2.1.4. შემსრულებელმა სამუშაო პირადად უნდა შეასრულოს.

2.2. დამკვეთი ვალდებულია:

2.2.1. გადაიხადოს მომსახურების საფასური ამ ხელშეკრულების პ.3-ში მითითებული ფასის მიხედვით _10 (ათი)_ დღის განმავლობაში მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერის მომენტიდან.

2.3. შემკვეთს უფლება აქვს:

2.3.1. ნებისმიერ დროს შეამოწმოს შემსრულებლის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მსვლელობა და ხარისხი, შემსრულებლის საქმიანობაში ჩარევის გარეშე.

2.3.2. აქტის ხელმოწერამდე ნებისმიერ დროს უარი თქვას ხელშეკრულების შესრულებაზე და გადაუხადოს შემსრულებელს დადგენილი ფასის ნაწილი იმ სამუშაოს პროპორციულად, რომელიც შესრულდა ხელშეკრულების შესრულებაზე შემკვეთის მიერ უარის თქმის შესახებ შეტყობინების მიღებამდე.

3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

3.1. ამ ხელშეკრულების ფასი შეადგენს:

3.1.1. შემსრულებლი სმომსახურების ანაზღაურება განისაზღვრება: შემაჯამებელი ტესტური დავალება.(4 ვარიანტად) ღირებული 3ლარი.შემაჯამებელი ტესტური დავალების რაოდენობა 105ტესტური დავალებების საერთო თანხა შეადგენს 315ლარს (სამასთხუთმეტი)ლარს

3.2. შემკვეთის მიერ შემსრულებლისთვის ხელშეკრულების ფასის გადაცემა ხდება თანხის გადარიცხვით შემსრულებლის საანგარიშსწორებო ანგარიშზე, რომელიც მითითებულია ამ ხელშეკრულებაში.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. მომსახურების შესრულების ვადის დარღვევისთვის, რომელიც მითითებულია ამ ხელშეკრულების 3.1.4-ში, შემსრულებელი უხდის შემკვეთს პირგასამტეხლოს ხელშეკრულების თანხის 0,5 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

4.2. მხარეთა პასუხისმგებლობის სხვა ზომები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისგან ან დარღვევათა გამოსწორებისგან.

5. დავათა გადაჭრის წესი

5.1. დავები და უთანხმოებანი, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამ ხელშეკრულების შესრულებისას, გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

6. დასკვნითი დებულებები

6.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს ვადამდე შემდეგი პირობების არსებობის შემთხვევაში: _____

(მიუთითეთ ხელშეკრულების გაუქმების პირობები)

მეორე მხარისათვის შეტყობინების _____

(ფოსტით, დაკვეთილი წერილით, შეტყობინებით და ა.შ)

გაგზავნის გზით.

6.2. ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა სათანადო რწმუნებულების მქონე წარმომადგენელთა მიერ.

6.3. ამ ხელშეკრულების დანართები მის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ.

6.4. ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, ორივე ეგზემპლარი იდენტურია და აქვთ ერთნაირი იურიდიული ძალა. ყოველ მხარეს აქვს ამ ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი.

7. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

დამკვეთი	შემსრულებელი
სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტი	ინოვაციური განათლების
სოფელ ტყემლოვანის საჯარო სკოლა	ცენტრი „კალამი“_
ს/კ 2015606592	ს/კ 400025511
ბ/კ BACaCe22	ბ/კ TBCBGE22
ა/ა GE77BG0000000119252000	ა/ა GE42TB7848136080100001
დირექტორი:	დირექტორი:
რუსუდან ბიწაძე	თეიმურაზ გოგუაძე